გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 1-125

ქ. თელავი

23 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, **თვითმმართველი ქალაქ თელავის ააიპ კულტურის ცენტრი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის ზაქარია რაზმაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ლიმბო"**, (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის მაია ხარატიშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე: - ყავის, ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიღებული შემოსავლებიდან. CPV **კოდი:** 15800000;1960000; 24900000;33700000; 39200000; 39500000;39800000.

1.2 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელსეკრულების დანართი N1-ით (დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას) განსაზღვრული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის ვადაში.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 395-10 **(სამასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს** (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

3.მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისი შესყიდვის ობიექტი.

3.2 მისამართი: ქ. **თელავი, ქეთევან წამებულის ქ.** N 3.

3.3 მიწოდება განხორციელდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 **წლის 26 დეკემბრის** ჩათვლით.

3.4 მიწოდებას თან უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშორება.

5.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) მიიღოს მიწოდებული საქონელი;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის;

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი;

8.2 იმსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს;

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორსმაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2017 წლის 26 იანვრის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

დასახელება: **თვითმმართველი ქალაქ თელავის ააიპ კულტური ცენტრი**

მისამართი: **ქ. თელავი, ჭადრის ქ. 2.**

საიდენტიფიკაციო კოდი - 431172063

მომსახურე ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა**

ბანკის კოდი: TRESGE22

სახაზინო კოდი: 05020106

დირექტორი ზაქარია რაზმაძე

მიმწოდებელი:

შპს ,,ლიმბო"

თელავი, ქეთევან წამებულის ქ. N3

ს.კ. 231165235

სს ბანკი ,,ქართუ"

ბ.კ. CRTUGE22

ანგ# GE43CR0160090000463602

დირექტორი მაია ხარატიშვილი

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 1-125-ის

დანართი N 1

ქ. თელავი 23 დეკემბერი 2016 წელი

შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი

N	შესყიდვის CPV კოდი		საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	ჯამური თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	15800000	15861000	ყავა ჯაკოფსი 230გრ	ცალი	1	21.3	21.30	
						სულ CPV 15800000	**21.30**	
2	18400000	18424300	ხელთათმანი M ზომა	ცალი	7	1.7	11.90	
						სულ CPV 18400000	**11.90**	
3	19600000	19640000	ნაგვის პარკი	ცალი	5	3	15.00	
4		19640000	ნაგვის პარკი 35 ლ-15 ც. შესაკრავით (32)	ცალი	4	2	8.00	
5		19640000	ნაგვის პარკი 35ლ	ცალი	3	2.4	7.20	
6		19640000	მაგკოფეს პარკი	ცალი	9	0.2	1.80	
7		19640000	ცელოფნის აპკი საკვები	ცალი	1	2.5	2.50	
8		19640000	ნაგვის პარკები	ცალი	14	1.3	18.20	
						სულ CPV 19600000	**52.70**	
9	24900000	24959100	აეროზოლი	ცალი	1	2.4	2.40	
10		24959100	აეროზოლი ვაშლი ვუდს	ცალი	5	2.4	12.00	
11		24959100	აეროზოლი მათეთრებელი დილა 300 გრ.	ცალი	1	2.7	2.70	
12		24959100	ჰაერის აეროზოლი 300 გრ.	ცალი	2	2.2	4.40	
						სულ CPV 24900000	**21.50**	
13	33700000	33711900	თხევადი საპონი პაპილიონი ვანილა 700 გრ	ცალი	1	3.2	3.20	
14		33711900	თხევადი საპონი პაპილიონი 700გრ	ცალი	1	3.2	3.20	
15		33711900	პაპილონის ჭურჭლის თხევადი საპონი 700 მლ	ცალი	2	3.2	6.40	
16		33711900	პაპილიონი თხ. საპონი ლაიმი 500მლ	ცალი	1	2.5	2.50	
17		33711900	თხევადი საპონი პაპილიონი ჟასმინი 700გრ	ცალი	1	3.2	3.20	
18		33711900	თხევადი საპონი 500 გრ.	ცალი	1	2.5	2.50	

19		33761000	ტუალეტის ქაღალდი პერლა 3ფენა 4ცალი	ცალი	1	4.6	4.60	
20		33761000	ტუალეტის ქაღალდი ელფი	ცალი	10	0.5	5.00	
21		33761000	პაპია ტ. ქაღალდი დოლჩე 4ც	ცალი	1	4.4	4.40	
22		33761000	ტ/ქ ზევა დელუქსი 4ც.	ცალი	1	4.5	4.50	
23		33761000	ქაღალდი ტუალეტის ობუხოვის	ცალი	10	0.7	7.00	
24		33764300	ხელსაწმენდი ტენო 200 ც.	ცალი	4	2.2	8.80	
25		33764300	სველი ხელსახოცი 100 ც. თეთრი	ცალი	1	3.3	3.30	
						სულ CPV 33700000	**58.60**	
26	39200000	39222110	ერთჯერადი ჭურჭელი	ცალი	1	20	20.00	
						სულ CPV 39200000	**20.00**	
27	39500000	39525600	იატაკის ტილო დიდი	ცალი	3	9	27.00	
28		39525600	მინის ტილო პატარა	ცალი	5	1.9	9.50	
29		39525600	ჭურჭლის ღრუბელი 3 ცალიანი	ცალი	3	1	3.00	
30		39525600	მაგიდის ტილო ფლამენკო	ცალი	2	1.9	3.80	
31		39525600	მაგიდის ტილო	ცალი	1	1.3	1.30	
32		39525600	ჭურჭლის ღრუბელი 5 ცალიანი	ცალი	1	1.5	1.50	
33		39525600	სახეხი მავთული უჟანგი	ცალი	2	1.2	2.40	
						სულ CPV 39500000	**48.50**	
34	39800000	39812100	პრონტო ავეჯის გასაწმენდი კრემი	ცალი	2	6.7	13.40	
35		39830000	პაპილიონის შუშ.საწ. სითხე 550მლ	ცალი	1	2.3	2.30	
36		39831300	სანო პასიფლორა იატაკის საწმენდი 1ლ	ცალი	1	10.7	10.70	
37		39831300	სანო მარმარილოს. კერამიკის, იატაკის. საწმენდი სითხე 2ლ.	ცალი	2	17	34.00	
38		39831300	სანო კოტონი იატაკის საწმენდი 1ლ	ცალი	2	10.7	21.40	
39		39831300	სანო ჟასმინი იატაკის საწმენდი 1 ლ	ცალი	1	10.7	10.70	
40		39831600	დომესტოსი 1ლ	ცალი	2	5	10.00	
41		39831600	დომესტოსი 1ლ	ცალი	2	5	10.00	
42		39831600	სანო იატაკის საწმენდი 1ლ	ცალი	2	10.7	21.40	
43		39831600	დომესტოსი 1ლ თოვლის სიქათქათე	ცალი	2	4.9	9.80	
44		39831600	სანო უნიტაზის საწმენდი საშუალება	ცალი	2	4	8.00	
45		39831600	ბრეფი უნიტაზის საწმენდი 51გრ	ცალი	1	4.9	4.90	

46		39832100	ჭურჭლის ჟელე თეთრი 480 გრ	ცალი	2	2	4.00	
						სულ CPV 39500000	160.60	
						სულ ჯამი:	395.10	

შემსყიდველი

თვითმმართველი ქალაქ თელავის

ააიპ კულტურის ცენტრის

დირექტორი

ზაქარია რაზმაძე

მიმწოდებელი

შპს ,,ლიმბო"

დირექტორი

მაია ხარატიშვილი